ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა №2

ქ. თბილისი 1 აპრილი 2013 წ.

მხარეები

ერთის მხრივ, *შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"* წარმოდგენილი მისი დირექტორითა საბჭოს თავმჯდომარის *ნათელა თურნავას* მინდობილი პირის, *თამარ კუპრაძის* სახით, შემდგომში წოდებული როგორც *„მიმწოდებელი"* და მეორეს მხრივ, *ა(ა)იპ "სარიტუალო მომსახურება"*, წარმოდგენილი მისი დირექტორის *ემზარ ბუაძის* სახით, შემდგომში წოდებული როგორც *„შემსყიდველი"*

მიმწოდებელი და შემსყიდველი ცალ-ცალკე მოხსენებულნი არიან, როგორც *„მხარე"* და ერთად როგორც *„მხარეები"*

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში *„ხელშეკრულება"*) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს დაწნეხილი ბუნებრივი გაზი (შემდგომში „ბუნებრივი გაზი") ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის საფასური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასი ყოველი 1 (ერთი) კუბური მეტრი ბუნებრივი გაზისათვის შეადგენს **1.10** ლარს დღგ-სა და აქციზის ჩათვლით;

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისიწნებული ბუნებრივი გაზის ფასი მოიცავს მიმწოდებლის მიერ გაღებულ ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების განხორციელებასთან;

2.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული ფასი, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ აისახება უკვე განხორციელებულ მიწოდებაზე.

3. მიწოდების პირობები და ანგარიშსწორების წესი

3.1 მიმწოდებელი ბუნებრივი გაზის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ავტოგაზგასამართი საკომპრესორო სადგურიდან (შემდგომში „აგგს"), სპეციალური ტალონების (შემდგომში „ტალონები") საშუალებით, რომლებზეც აღნიშნულია: ტალონის ნომერი, მიმწოდებლის დასახელება, ბუნებრივი გაზის მოცულობა, მიმწოდებლის ბეჭედი, შემსყიდველის ბეჭედი.

3.2 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით; უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელების შემთხვევაში შემსყიდველი წარადგენს თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 **მიმწოდებელის უფლება-ვალდებულებები:**

4.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ შესასყიდი ბუნებრივი გაზის მოცულობის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას შემსყიდველზე გასცეს ტალონები;

4.1.2 ტალონების გაცემისას გამოუწეროს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა;

4.1.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდება საკუთარი აგგსს-ებიდან რაც უნდა განხორციელდეს ტალონების საფუძველზე;

4.1.4 შემსყიდველის მიერ ტალონის (ტალონების) დაკარგვის ან სხვაგვარი გზით მისი მფლობელობიდან გამოსვლის შემთხვევაში, მიმწოდებელი იხსნის ვალდებულებას შემსყიდველზე ბუნებრივი გაზის გაცემაზე.

4.2. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები

4.2.1 შემსყიდველი ვალდებულია წინასწარ მიაწოდოს მიმწოდებელს ინფორმაცია შესასყიდი ბუნებრივი გაზის მოცულობის თაობაზე და ანგარიშსწორება განახორციელოს წინასწარ;

4.2.2 შემსყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მიმწოდებელს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიიღოს ტალონები;

4.2.3 შემსყიდველი უფლებამოსილია გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს მხოლოდ მიმწოდებლის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

4.2.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ტალონები თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;

5. ფორს-მაჟორი

5.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა მათთვის დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორის) მოქმედების პირობებში. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა: ომი, საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა, ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;

5.2 დაუძლეველი ძალის მოქმედების დაწყების შემდეგ მხარე აგზავნის შესაბამის შეტყობინებას, სადაც მიუთითებს ასეთი გარემოებების წარმოშობასა და მოქმედების სავარაუდო ვადას.

6. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

6.2. მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე თუკი მეორე მხარე მიუხედავად წერილობითი გაფრთხილებისა არ ასრულებს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს;

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რის თაობაზეც ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს.

7. *დავათა გადაწყვეტა*

7.1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან/და წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

7.2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერ დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განიხილება და გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მიერ.

8. *დასკვნითი დებულებები*

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2 ნებისმიერ ცვლილებას ან დამატებას ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;
8.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე.

9. *მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

მიმწოდებელი	*შემსყიდველი*
შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"	**ა(ა)იპ "სარიტუალო მომსახურება"**
მის: მანგლისი, სტალინის ქ. 66	მის: ქ. ხაშური. კოსტავას 7
საიდ/კოდი 230866783	საიდ/კოდი 443856944
ა/ა GE85TB1100000360800448	ა/ა GE54LB01151115174659000
სს "თიბისი ბანკი"	სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22	ბანკის კოდი ----------
შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს დირექტორთა საჭოს თავმჯდომარე **ნათელა თურნავას**	ა(ა)იპ "სარიტუალო მომსახურება"-ს დირექტორი **ემზარ ბუაძე**
მინდობილი პირი **თამარ კუპრაძე**	
/ხელმოწერა/	/ხელმოწერა/

GIEC

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია

GEORGIAN INTERNATIONAL ENERGY CORPORATION

№ 134/1 31 ოქტომბერი 2012

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს** დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **ნათელა თურნავა** *(შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობი“)*

ვენდობი

თამარ კუპრაძეს *(საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 28.04.1968 წელს, ქ. თბილისში, მისამართის გარეშე, პირადი №01017014105, პირადობის მოწმობის №g0191371, გაცემული მთაწმინდის შს სამმართველოს მიერ 30.07.1998 წელს, მოქმედების ვადა 28.04.2013 წელი)* (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი“), რომ მან „მინდობის“ სახელით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს სახელით ხელი მოაწეროს მესამე პირებთან გაზის (ბუნებრივი აირის) ტალონური სისტემით რეალიზაციის ხელშეკრულებებს, კერძოდ: ბუნებრივი აირის რეალიზაცია ტალონური სისტემით რომლის ღირებულება უცვლელია და განსაზღვრულია: $1м^3$=1.10 (ერთი ლარი და ათი თეთრი) ლარით;
2. გაზის (ბუნებრივი აირის) ტალონური სისტემით რეალიზაციის ხელშეკრულებები შეუზღუდავად მოიცავს თავად ხელშეკრულებას, ნებისმიერ დამატებასა და ცვლილებას აღნიშნულ ხელშეკრულებებში, მიღება-ჩაბარების აქტებს, შეთანხმებებს და ყველა ისეთ დოკუმენტს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნულ ხელშეკრულებებთან;
3. წინამდებარე მინდობილობით განსაზღვრული ნებისმიერი მოქმედების და/ან ნებისმიერ დოკუმენტზე ხელმოწერის განხორციელების დროს მოქმედების/ხელმოწერის თანმდევ შედეგზე თამარ კუპრაძე, როგორც შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" თანამშრომელი პირადად, სრულად და შეუზღუდავად აგებს პასუხს;
4. მინდობილი პირი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ სახის დოკუმენტს წინამდებარე მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებემოსილებათა განხორციელების მიზნით.
5. მინდობილი პირი ვალდებლია პირადად შეასრულოს წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება;
6. მინდობილობა ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 01 იანვრამდე.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის ინტერესების დაცვისათვის და მინდობილობით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებისათვის.

დირექტოთა საბჭოს თავმჯდომარე **ნათელა თურნავა**

ქ. ბარდაბანი, 1300 დ.აღმაშენებლის ქ. №2
D.AGMASHENEBELI STR 2, GARDABANI, 1300 GEORGIA
Tel./Fax: +(995 32) 47 04 25; Fax: +(995 24) 18 07 45
E-mail: giec@giec.ge